



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



საფურაჟე ქარხლის კულტურა





საფურაჟე ჭარხალი



დამატებითი მცენარე თესლბრუნვასა და ცხოველთა კვებაში



საფურაჟე ქარხალი სადგომში





ან მისი მიღება პირდაპირ მინოდში





ინტერესი ამ კულტურისადმი

- საფურაჟე ჭარხალი საკმაოდ მარტივია მოსაყვანად
- ამასთანავე, ეს არის ერთ-ერთი იმ კულტურათაგანი, რომელიც იძლევა დიდ მოსავალს მშრალი მასის კუთხით ჰექტარზე, 70-დან 100 ტონამდე ჰექტარზე
- აღნიშნული გვაძლევს 17-დან 20 ტონამდე მშრალ მასას
- ის არის დამატებითი კულტურა თესლობრუნვაში



სახეობის არჩევა

- **Jamon** - ჟამონი (ყვითელი) : საშუალოდ ჩაფლული, საძოვრისათვის
- **Lempa** - ლემპა (ყვითელი) : საშუალოდ ჩაფლული, უფრო მოსავლიანია და უფრო მეტად გამძლეა დაავადებებისადმი
- **Tarine** - ტარინი (ნარინჯისფერი) : მეტად ჩაფლული, საჭიროებს მექანიკურ აღებას, გამძლეა რიზომანიის მიმართ, უფრო მდიდარია მშრალი მასით
- **Brunium** - ბრუნიუმი (წითელი) : საშუალოდ ჩაფლული გამძლეა ყავისფერი რიზომანიის მიმართ
- **Primula** - პრიმულა (წითელი): საშუალოდ ჩაფლული, გამძლეა ყავისფერი რიზოქტონიის და რიზომანიის მიმართ



წარმატების მისაღწევად საჭირო აუცილებელი ეტაპები

- **თესლის ხარისხი:** თესვა, ნიშნავს პოტენციალის შექმნას
- **სარეველებთან ბრძოლა:** მცენარე მაღევე გრძნობს კონკურენციას სარეველებთან
- **შენახვა:** მგრძნოვიარეა ყინვის მიმართ, სასილოსე ორმოებში შესაძლებელია მისი შენახვა რამდენიმე თვის განმავლობაში

წარმატების მისაღწევად საჭირო აუცილებელი ეტაპები

- **თესლის ხარისხი:** კარგი თესვა, ნიშნავს პოტენციალის შექმნას
 - ნიადაგის მომზადების შემდგომ აუცილებელია შევინარჩუნოთ ტენიანობა კვალებში
 - სიღრმე : 2 სმ (1,5 სმ-დან 2,5 სმ-მდე)
 - დაშორებები : 50 სმ რიგებს შორის და 18-დან 20 სმ-მდე თვითონ მცენარეს შორის
 - მიზანი: 90 000-დან 100 000-მდე ჭარხალი ერთ ჰექტარზე



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



სათესი აგრეგატი





სარეველებთან ბრძოლა

- **აღმოცენებამდე** : ზუსტად თესვის შემდგომ საბაზისო პროდუქტით - მეტამიტრონით (Metamitron) შეწამვლა. ამ შეწამვლით ხელს ვუშლით სარეველების თესლებს გაღვივებაში.
- **აღმოცენების შემდგომ** : ვეგეტაციისას, საბაზისო პროდუქტებით ფენმედიფარმით (Phenmediphame) და ეტოფუმეზატით (Ethofumesate) შეწამვლა. შეწამვლების რაოდენობა დამოკიდებულია ნაკვეთის მდგომარეობაზე.
- **აღმოცენების შემდგომი ქიმიური შეწამვლა** შესაძლებელია ჩანაცვლდეს მექანიკური გამომარგვლით



სარეველებთან ბრძოლა: პროდუქტი და დოზა

- აღმოცენებამდე : 1 შეწამვლა დათესვის შემდგომ
 - Goltix (მეტამიტრონი 70 %) : 2 კგ/ჰა
 - Kezuro (quinmerac - კუინმერაკი 71გრ/ლ + მეტამიტრონი 571 გრ/ლ) : 3,5 ლ/ჰა
- აღმოცენების შემდგომ : 1-დან 3-მდე ნარევით შეწამვლა სარეველების საწყისი ლეზნის სტადიის შესაბამისად
 - Betanal (phenmediphame) 0, 8 ლ/ჰა + Tramet (éthofumésate) 0,25ლ/ჰა + Goltix(metamitrone) 0,5 კგ/ჰა + ზეთი 0,5 ლ/ჰა



განოყიერება

კგ/ჰა	აზოტი	ფოსფორი	კალიუმი
ნაკელის გარეშე	150 -170	90 -100	240 - 260
საქონლის ნაკელით 30 ტონა/ ჰა	90 -100	60 -70	160 -180



ფუნგიციდური დაცვა

საფურაჟე ჭარხალში გვხვდება ანალოგიური დაავადებები, რომლებიც აქვს შაქრის ჭარხალს, მაგრამ როგორც წესი შეწამვლა არ ხდება



**Cercospora
beticola**





Ramularia





Erysiphe betae



Uromyces betae

მოსავლის აღება და შენახვა

- სექტემბრიდან ნოემბრამდე, საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლოა მოსავლის აღება ხელითაც და მექანიკურადაც
- ფოთლები არის საკვებად გამოსაყენებელი
- შენახვა ხდება ფოთლების გარეშე, მინიმალურ ტერიტორიაზე, რათა თავიდან ავირიდოთ დაზიანებები
- სასილოსე ორმო უნდა იყოს დაცული, გადაფარებული უნდა ჰქონდეს თივა და ბრეზენტი ზამთრის განმავლობაში, რათა დავიცვათ პროდუქცია გაყინვისგან. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ აერაცია.



შესანახი ორმო



საფურაჟე ჭარხალი რაციონში

- ბალახთან და თივასთან ერთად, ჭარხალი აძლევს ცხოველებს ენერგიას, მაგრამ ის ღარიბია ცელულოზითა და პროტეინებით :
- საშუალო კვებითი ღირებულება 20 კილოგრამ ჭარხალზე
 - მშრალი მატერია: 3 კგ
 - UFL 1,15
 - PDIN - : 62
 - PDIE : 86
- თანდათანობით შეიტანეთ კვების რაციონში
- **UFL** - საკვები ერთეული ლაქტაციისთვის
- **PDIN** - მონელებადი პროტეინი ფაშვის აზოტის ნაკლებობისას
- **PDIE** - მონელებადი პროტეინი ფაშვში ენერგიის ნაკლებობისას